ჰეი თქვენ ადამიანნო, გაავრცელეთ სალამი, დააპურეთ მშიერები, შეინარჩუნეთ ნათესაური კავშირები და ილოცეთ ღამით, როდესაც ხალხი ძილსაა მიცემული. ამით მშვიდობით შეხვალთ სამოთხეში

აბდულლაჰ იბნ სალაამ (ალლაჰი იყოს მისით კმაყოფილი) ამბობს: "როდესაც შუამავალი (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) მოვიდა მედინაში, ხალხი მის შესახვედრად დაიძრა. ამბობდნენ: შუამავალი მოვიდა, შუამავალი მოვიდა, შუამავალი მოვიდა (სამჯერ). მეც ხალხთან ერთად წავედი, რომ მენახა იგი. როდესაც მის სახეს დავაკვირდი, მივხვდი, რომ ეს სახე ვერ იქნებოდა მატყუარას სახე. და პირველი, რაც მისი მხრიდან მოვისმინე, იყო მისი სიტყვები: «ჰეი თქვენ ადამიანნო, გაავრცელეთ სალამი, დააპურეთ მშიერები, შეინარჩუნეთ ნათესაური კავშირები და ილოცეთ ღამით, როდესაც ხალხი ძილსაა მიცემული. ამით მშვიდობით შეხვალთ სამოთხეში».

[სანდო (საჰიჰ)] [გადმოსცა ალ-თირმიზიმ, იბნ მააჯამ და აჰმადმა]

როდესაც ალლაჰის მოციქული (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) მოვიდა მედინაში, ხალხმა სწრაფად მიაშურა მას. მათ შორის იყო აბდულლაჰ იბნ სალაამ(ალლაჰი იყოს მისით კმაყოფილი), რომელიც ებრაელი იყო. როდესაც მან შეხედა შუამავალს (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას), ‘აბდულლაჰი მიხვდა, რომ მისი სახე ვერ იქნებოდა მატყუარას სახე, რადგან იგი ანათებდა სინათლით, სილამაზით და ჭეშმარიტი კეთილშობილებით. პირველი, რაც აბდულლაჰ იბნ სალამმა (ალლაჰი იყოს მისით კმაყოფილი) მოციქულისგან (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) მოისმინა, იყო მოწოდება საქმეებისკენ, რომლებიც სამოთხეში შესვლის მიზეზი ხდება. პირველი: ისლამური მისალმების გავრცელება, მისი გამოჩენა და გამრავლება როგორც იმათთვის, ვისაც იცნობ, ასევე იმათთვის, ვისაც არ იცნობ. მეორე: საკვების მიცემა სადაყით, საჩუქრის ან სტუმართმასპინძლობის სახით. მესამე: ნათესაური კავშირების შენარჩუნება იმ ადამიანებთან, ვისთანაც მამის ან დედის მხრით გაქვს ნათესაობა. მეოთხე: ღამის ნებაყოფლობითი ლოცვის შესრულება, როდესაც ხალხი ძილსაა მიცემული.

https://sunnah.global/hadeeth/ka/show/5520